საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1 "10" დეკემბერი 2018 წ.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საერთო სასამართლოებში „ღია კარის დღის“ ორგანიზების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია სასამართლოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, აღნიშნულის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზების რეგულირება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის N1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული 5.4.1. პროგრამით (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასამართლოს საქმიანობის შესახებ) გათვალისწინებულ აქტივობათა შესრულების ხელშეწყობა.

მუხლი 2. „ღია კარის დღე“

1. საერთო სასამართლოები პერიოდულად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოფენ „ღია კარის დღის“ ორგანიზებას.

2. „ღია კარის დღის“ ფარგლებში ეწყობა დაინტერესებულ პირთა, მათ შორის, სტუდენტების, სკოლის მოსწავლეების, ჟურნალისტების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პროფესიული წრეების წარმომადგენელთა პერიოდული ვიზიტები სასამართლოებში, შეხვედრა მოსამართლეებთან, სასამართლოს აპარატთან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან.

3. „ღია კარის დღის“ მიზანია:

ა) სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება;

ბ) საზოგადოებაში მოსამართლისა და სასამართლოს როლის სწორი აღქმისა და მართლმსაჯულებისადმი სწორი დამოკიდებულების ფორმირება;

გ) სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება;

დ) მართლმსაჯულების საზოგადოებასთან ინტეგრირების, საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის პირდაპირი ურთიერთობების დამყარებისა და სასამართლო სისტემის გახსნილობის უზრუნველყოფა.

4. „ღია კარის დღე“ ითვალისწინებს:

ა) მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ასევე, სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპებისა და წესების გაცნობას;

ბ) მოსამართლისა და სასამართლოს როლის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სასამართლოს მოქმედების ფარგლებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

გ) სამართალწარმოების სხვადასხვა სახეების, სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობისა და სასამართლო პროცედურების თაობაზე ცოდნის გაზიარებასა და სწავლებას;

დ) სასამართლოს მიერ მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;

ე) დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გაცნობას;

ვ) სასამართლო პროცესებზე დასწრებას;

ზ) სასამართლოს შენობის დათვალიერებას.

მუხლი 3. „ღია კარის დღის" ორგანიზება

1. ინფორმაცია წლის განმავლობაში დაგეგმილი „ღია კარის დღეების" თაობაზე ქვეყნდება შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველი წლის დასაწყისში.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სასამართლოში „ღია კარის დღის" ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ სხვა დროს, დაინტერესებულ პირთა განცხადების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში „ღია კარის დღის" ორგანიზების შესახებ ინფორმაცია შესაბამის თარიღამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა განთავსდება სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სასამართლოში დაგეგმილ „ღია კარის დღეში" მონაწილეობის მიღების მიზნით არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შესაბამისი განცხადებით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება

1. „ღია კარის დღის" ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია განთავსდება შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებების მეშვეობით გავრცელებას.

3. საერთო სასამართლოები, ყოველი წლის ბოლოს, „ღია კარის დღის" ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას წარუდგენენ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი